<u>დებულება</u> დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების შესახებ

(...)

6. სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებისას კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს აკისრიათ შემდეგი ამოცანები:

თვალყურის დევნება დაზავების პირობებისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებისათვის; ხელის შეწყობა უსაფრთხო ვითარების შექმნისათვის შფოთიან რაიონებში კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხილული ყოფნის უზრუნველყოფით;

პასუხისმგებლობის ზონის აღნიშვნა, დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება, დემილიტარიზებული ზონის, დაშორიშორებისა და ჰუმანიტარული კორიდორის ზონების შექმნა, მხარეთა ძალების დეკონცენტრაციის ხელშეწყობა, ამ ზონებში მათი გადაადგილებისა და შეტაკების თავიდან აცილება;

პირობების შექმნა მოლაპარაკებებისა და სხვა ღონისძიებისათვის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების, ეკონომიკისა და მართლწესრიგის აღდგენის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირების მიმართულებით;

ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შესახებ შეთანხმებათა დარღვევის ფაქტების დადგენა და მათი გამოძიების ჩატარება;

გარემოსა და მოსახლეობის მოქმედების კონტროლი უშიშროების ზონაში, მასობრივი უწესრიგობის არდაშვება, ხელშეწყობა ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის;

საფორტიფიკაციო ნაგებობების, ღობურებისა და დანაღმული ადგილების ლიკვიდაცია;

სასიცოცხლო ობიექტების დაცვა;

ღონისძიებათა მიღება კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს შორის კავშირგაბმულობისა და მათ შორის ყველა დონის ოფიციალური შეხვედრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

გადაზიდვების კონტროლი, სამხედრო ტექნიკის, იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონო შეტანა-გატანის აღკვეთა;

ტრანსპორტის ყველა სახეობის უსაფრთხო ტრანზიტისა და კომუნიკაციების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კონფლიქტის მონაწილე მხარეების მოსახლეობას შორის ნორმალური კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;

სამოქალაქო მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებისათვის ხელშეწყობა;

ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი მიწოდების უზრუნველყოფა;

მონაწილეობა გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს ორგანოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

26. კოლექტიური სამშვიდობო ძალების მოქმედების ძირითადი პრინციპებია:

მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა;

მასპინძელი სახელმწიფოს კანონების დაცვა;

ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების პატივისცემა;

არმონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში;

იარაღის არგამოყენება, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა...

გამჭვირვალობა (საქმიანობის ღიაობა).

(...)

[(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, გვ. 64-73. საკუთარი თარგმანი)]